



შირაკი

SHIRAKI

გამოცემის 1937 წლიდან
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№4 (9.963)
20 - 27 თებერვალი 2021 წელი
ფასი: 60 თეთრი
ყოველკვირეული გამოცემა

გააშენე, მოუარე, დაიცავი!

სულ ახლო წარსულში საქართველომ აბრუსავარებულაგზე 35 სახელმწიფო ქარსაფარი ზოლი არსებობდა (24 აღმოსავლეთ, ხოლო 11 დასავლეთ საქართველოში). დღეისათვის შეიქმნა ითქვას, რომ მხოლოდ მცირე, ფუნქციონალური ფრაგმენტები მათგან შემორჩენილი. სავარაუდოდ უმეტეს ნაწილში ეს ფრაგმენტებიც აღარ არსებობს. ამ ყველაფრის მიზეზი ზოლებში გამოყენებული მარკინანი მცენარეების მაღალი ზირობა იყო. ხდებოდა მათი ამორტიზაცია და ასევე სათვრ-ენერგეტიკული რესურსების დეფიციტის გამო გასული საუკუნის 90-იან წლებში მოსახლეობის მიერ მათი ფიზიკური განადგურება სანავადა გამოყენების მიზნით. შედეგად, საქართველოში არსებული ქარსაფარი ზოლების 90% განადგურებულია და თავის ფუნქციას ვერ ასრულებს, ამიტომ ამ პრობლემის მოგვარების გზების ძიება უკვე დიდი ხანი მიმდინარეობს.

ქარსაფარი ზოლების მოწყობის საკითხთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტმა დედოფლისწყაროში გასვლითი შეხვედრა გამართა. **გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე** ოთარ შამუგია, პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ნინო ნილოსანი, კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე გივი მეტრეველი და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად დედოფლისწყაროელ ფერმერებს შეხვედნენ. ვიზიტის ფარგლებში მთავრობისა და პარლამენტის წევრებმა შირაკში არსებული ქარსაფარი ზოლები დაათვალიერეს.

შეხვედრაზე მხარეებს კომიტეტის წევრებმა კომიტეტის ფარგლებში შემუშავებული კანონის პროექტი წარუდგინეს და მათი მოსაზრებებიც მოისმინეს. **„უახლოეს პერიოდში ვაპირებთ დავაინიცირებთ კანონპროექტი ქარსაფარი ზოლების შესახებ, რომელიც უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა მოსახლეობის ზრდის.**



გავეცანით სამინისტროს მხარდაჭერით გაშენებულ ქარსაფარ ზოლებთან დაკავშირებით ადგილობრივი ფერმერების პოზიციას და მოსაზრებას. გავეცანით როგორც წარმატებულ მაგალითებს ამ ქარსაფარი ზოლების გაშენების, ასევე მოვინახულეთ ისეთი ადგილები, სადაც ვერ მოხერხდა ჯერ-ჯერობით ამ ზოლების აღდგენა. ფერმერებისთვის, ზოგადად, ცნობილია, რამდენად მნიშვნელოვანია ქარსაფარი ზოლის არსებობა როგორც ნიადაგის ეროზიის წინააღმდეგ, ასევე ქარის უარყოფითი ეფექტების შესამსუბუქებლად. აქედან გამომდინარე, გვინდა, რომ მათთან აქტიური კომუნიკაცია გვექონდეს. მნიშვნელოვანია, რომ ამ შეხვედრებში მონაწილეობენ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები


და მერები“ - განაცხადა აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ნინო ნილოსანმა.

აღინიშნა ისიც, რომ ამ მიმართულებით დღეისათვის არ არსებობს საკანონმდებლო რეგულირება. აღნიშნული კანონპროექტის მიღების შემდეგ კი გამკაცრდება ქარსაფარი ზოლების დაცვის კონტროლი და შესაბამისად, ეფექტურად მოხდება მათი დაცვა. ამასთან, როგორც კომიტეტის თავმჯდომარემ განაცხადა, ინვენტარიზაციის შემდეგ მინის სააგენტოს დაევალება ქარსაფარი ზოლების აღდგენის გეგმის შემუშავება, რომლის შემდეგაც, ქარსაფარი ზოლების მოვლა-პატრონობის ვალდებულება გადაეცემა მუნიციპალიტეტს და კერძო ფერმერს, რომელიც ამაზე თანხმობას

განაცხადებს.

„ვინაიდან ამ დრომდე ქარსაფარი ზოლების შესახებ საკანონმდებლო ჩარჩო არ არსებობდა, დონორი ორგანიზაციების ნებისმიერი ინიციატივა მის გაშენებასთან დაკავშირებით კრახით სრულდებოდა. ასევე, არ არსებობდა უკვე გაშენებული ქარსაფარი ზოლების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი ორგანო, ამიტომ საჭიროდ ჩავთვალეთ ამ კანონპროექტის მიღება. ჩვენს მიერ შემუშავებული კანონპროექტით ამ პროცესში ძირითადი აქტიური გარემოს დაცვის სამინისტროს მინის სააგენტო იქნება, რომელსაც მოუწევს გააკეთოს ისტორიულად არსებული ქარსაფარი ზოლების მოკვლევა და ასევე, დააიდენტიფიცირებს ქარსაფარებისთვის შესაფერის ადგილებს. ორივე შემთხვევაში ქარსაფარი ზოლები შეიძლება იყოს მუნიციპალური ან კერძო საკუთრება. თუ მოკვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ სპეციალისტებმა ქარსაფარი ზოლის გაშენება საჭიროდ მიიჩნიეს კერძო პირის კუთვნილ ტერიტორიაზე, მოქალაქის თანხმობა საჭირო გახდება. გარდა ამისა, შეიძლება ახალი კომპონენტი ჩაიდოს ზედამხედველობის ნაწილშიც, რომ არ იყოს ეს მხოლოდ მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურის დაკისრებული მოვალეობა“, - განაცხადა ნინო ნილოსანი და დასძინა, რომ ქარსაფარ ზოლებში არსებული ხეების ჩეხვასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული სანქციები დანესდება.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ოთარ შამუგიამ პროექტის მნიშვნელობაზე ისაუბრა და იმ საკითხებს გაუსვა ხაზი, რომელსაც კანონპროექტი დაარეგულირებს: „წარმოდგენილ იქნა პროექტი ქარსაფარი ზოლების შესახებ, რომელიც არეგულირებს ქარსაფარ ზოლებთან მიმართებაში ისეთ საკითხებს, როგორც არის ინვენტირება, გაშენება და აღდგენა. უკვე შემდგომ, რაც მთავარია, მოვლა, ზედამხედველობა და დაცვა.



/გაგრძელება გვ.3/

გიორგი გახარია პრემიერობიდან გადადგა



საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, გიორგი გახარიამ მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე გამოაცხადა, რომ თანამდებობას ტოვებს და ამის მიზეზად დაასახელა ნიკა მელიას დაპატიმრების საკითხზე მასსა და მმართველი გუნდის სხვა წარმომადგენლებს შორის აზრთა სხვადასხვაობა.

გიორგი გახარიას თქმით, ნიკა მელია, რომელსაც სასამართლომ პატიმრობა შეუფარდა, არის ადამიანი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობას დიდად პატივს არასდროს სცემდა და ადამიანი, რომელიც 20 ივნისს, მოქალაქეებს მოუწოდებდა პარლამენტის შტურმისკენ და პარლამენტში შეჭრის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო.

„მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, ჩემი აბსოლუტურად ურყევი პოზიციაა, რომ ერთი კონკრეტული ადამიანის მიმართ, თუნდაც კანონიერი, მართლმსაჯულებით განსაზღვრული ღონისძიების აღსრულება, თუ ეს რისკს უქმნის ჩვენი მოქალაქეების ჯანმრთელობას, სიცოცხლეს ან საერთოდ, ქვეყანაში ქმნის პოლიტიკური ესკალაციის შესაძლებლობას, არის მიუღებელი. დღეს განსაკუთრებით, როდესაც ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკური დაძაბულობა და პოლარიზაცია თვითონ ქვეყნის განვითარების და შემდგომ ქვეყნის უსაფრთხოების რისკებს ქმნის, მაშინ როდესაც ჩვენ ყველანი ჩვენს მოქალაქეებთან ერთად ვებრძვივით გლობალურ პანდემიას, ეკონომიკურ კრიზისს, რეგიონალურ გამოწვევებს და რაც მთავარია, ვებრძვივით პოლარიზაციას, რათა უკეთესი მომავალი შევქმნათ ჩვენს შვილებს, ასეთი ღონისძიება უნდა ჩატარდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც გადაზღვეული იქნება ყველა სახის რისკები და არ იარსებებს არანაირი რისკი, მიუხედავად პოლიტიკური მიზანშეწონილობის, ან პოლიტიკური ორიენტაციისა თითოეული ჩვენი მოქალაქის და რაც მთავარია, არ შექმნის ესკალაციის არანაირ საბაზს ქვეყანაში. იქიდან გამომდინარე, რომ მე, სამწუხაროდ, ჩემს გუნდთან ერთად, ვერ მივალწი ერთობლივ აზრს ამ საკითხთან დაკავშირებით, მივიღე გადაწყვეტილება, გადავდგე დაკავებული თანამდებობიდან. რა თქმა უნდა, მჯერა და მინდა, მჯეროდეს, რომ ეს ნაბიჯი ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ სივრცეში პოლარიზაციის შემცირებას, რამეთუ, დარწმუნებული ვარ, რომ პოლარიზაცია და დაპირისპირება ჩვენ შორის არის ყველაზე დიდი რისკი ჩვენი ქვეყნის მომავლის, ეკონომიკური განვითარების და ყველა სახის კრიზისის გამკლავებისთვის“,-განაცხადა გიორგი გახარიამ.

გიორგი გახარია პრემიერის თანამდებობას 2019 წლის 8 სექტემბერიდან იკავებდა. მის პრემიერობას წინ უძღოდა 20 ივნისის აქციის დარბევა - ამ დროს გახარია შინაგან საქმეთა მინისტრი იყო. აქციის დარბევის შემდეგ აქტივისტები 3 თვის განმავლობაში პერმანენტული საპროტესტო აქციებით მოითხოვდნენ შს მინისტრის თანამდებობიდან მის გადადგომას.

ნიკა მელიას პატიმრობა შეეფარდა

თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურატურის მოთხოვნა და ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარეს, ნიკა მელიას აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა. საქმეს მოსამართლე ნინო ჩახნაშვილი განიხილა. აღსანიშნავია, აღკვეთის ღონისძიების შეფარდება არ ნიშნავს საბოლოო გადაწყვეტილებას - განხილვები ამის შემდეგაც უნდა გაგრძელდეს და სასამართლოს მაქსიმუმ 9-თვიანი ვადა აქვს, რომ საბოლოო ვერდიქტი გამოიტანოს.

ნიკა მელიას აღკვეთის ღონისძიების შეცვლა პროკურატურამ მას შემდეგ მოითხოვა, რაც ენმ-ის ლიდერმა გიორგი მგომარაძემ გადახდაზე უარი თქვა. მელიას უარი ემყარებოდა იმას, რომ ამავე საქმეზე მას ერთხელ უკვე გადახდილი აქვს სასამართლოს მიერ დაკისრებული გირაო. საუბარია 20 ივნისის საქმეზე, როცა სასამართლომ მას გირაო და ელექტრონული სამაჯურის ტარება შეუფარდა. მელიამ სამაჯური ერთ-ერთ აქციაზე დემონსტრაციულად მოიხსნა, რის შემდეგაც პროკურატურამ იგივე საქმეზე გირაო ხელახლა მოითხოვა. მელიას უარის შემდეგ, პროკურატურამ აღკვეთის ღონისძიების გამკაცრების, ანუ პატიმრობის მოთხოვნა დააყენა. ამისთვის მას პარლამენტის ნებართვა სჭირდებოდა, რადგან ბოიკოტის მიუხედავად, მელია კვლავ დეპუტატია. 16 თებერვალს ქართული ოცნების პარლამენტმა ნიკა მელიას დეპუტატის იმუნიტეტი უკვე მეორედ მოუხსნა და პროკურატურამ სასამართლოს იმავე დღეს მიმართა.

ნიკა მელია მთელი ამ დროის განმავლობაში აცხადებდა, რომ გირაოს არ გადაიხდის და ვერ დაიჭერენ. მისი თქმით, საქმე პოლიტიზებულია. ის ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ოფისში იმყოფებოდა, სადაც სხვა ოპოზიციური პარტიების ლიდერებიც მივიდნენ. ისინი აცხადებდნენ, რომ ხელისუფლებას მელიას დაკავების საშუალებას არ მისცემდნენ.

ნიკა მელიას საქმე

ნიკა მელიას საქართველოს პროკურატურა 20 ივნისის აქციის საქმეზე ძალადობრივი ჯგუფის ხელმძღვანელობას ედავება. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილით მიმდინარეობს. ამ მუხლით 4-დან 9 წლამდე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ძალადობრივი ჯგუფის ხელმძღვანელობისა და მასში მონაწილეობისთვის დგება.

პროკურატურა მელიასთვის პატიმრობას ითხოვდა, თუმცა 2019 წლის 27 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლომ მას 30 ათასი ლარის ოდენობის გირაო შეუფარდა. გარდა ამისა, მოსამართლემ სხვა შეზღუდვებიც დაუწესა:

- საცხოვრებელი ადგილის (სახლის) დატოვება საგამოძიებო ორგანოს ინფორმირებისა და თანხმობის გარეშე;
- საზოგადოებრივი თვითმყვრის ადგილას საჯარო განცხადებების გაკეთება; მონაწილეთა ნებისმიერი სახის კომუნიკაცია;
- დაეკისრა საგამოძიებო ორგანოსთვის პასპორტისა და პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის ჩაბარების ვალდებულება.

მომავალი პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი ცნობილია

ირაკლი ლარიბაშვილი პრემიერ-მინისტრობის კანდიდატად არის წარდგენილი. გადაწყვეტილება მმართველმა გუნდმა გიორგი გახარიას გადადგომიდან რამდენიმე საათში შიდა კონსულტაციების შემდეგ გამოაცხადა. ახლა სწორედ თავდაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა უნდა დააკომპლექტოს მომავალი მინისტრთა კაბინეტი და ნდობის მისაღებად პარლამენტს წარუდგინოს.

ირაკლი ლარიბაშვილს, რომელსაც 2013-2015 წლებში ერთხელ უკვე ეკავა მთავრობის მეთაურის პოსტი, „ქართული ოცნება“ სრულ მხარდაჭერას უცხადებს. კანონმდებლობით, მთავრობის ახალი შემადგენლობის პარლამენტისთვის წარსადგენად მმართველ პარტიას ცხრა დღე აქვს, თუმცა, უკვე დაანონსებულია, რომ მთავრობის ფორმირება და შემდეგ საკანონმდებლო ორგანოში გასავლელი პროცედურები დაჩქარებულად წარიმართება.



გერმანიაში ლეგალურ დასაქმებაზე რეგისტრაცია დაიწყო

საქართველოს მოქალაქეების გერმანიაში დროებით ლეგალურ დასაქმებაზე რეგისტრაცია 15 თებერვლიდან დაიწყო. დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს ინფორმაციით, 16 თებერვლის მდგომარეობით „დროებითი დასაქმების მსურველი შრომითი მიგრანტის სარეგისტრაციო პორტალზე“ დარეგისტრირდა 53 274 პირი, საიდანაც სააპლიკაციო ფორმა „დროებითი დასაქმება გერმანიაში“ შეავსო 35 121 პირმა. გერმანიის შრომის ბაზარზე, საქართველოს მოქალაქეებს დროებითი ლეგალური დასაქმება სამი თვით შეეძლება. სეზონური სამუშაოები პირველი აპრილიდან დაიწყება. დასაქმების ხანგრძლივობა იქნება კვირაში 5-6 დღე, ხოლო დღეში 8-10 საათი.

მინიმალური ანაზღაურება განსაზღვრულია, როგორც საათში 9.5 ევრო (დღევანდელი კურსით 31.33 ლარი). აღსანიშნავია, რომ ამ თანხაში შედის როგორც გადასახადები, ასევე კვებისა და საცხოვრებლის ხარჯები. ჯანმრთელობის დაზღვევას უზრუნველყოფს დამსაქმებელი კომპანია. მას შემდეგ, რაც კონკრეტული სამუშაოს მაძიებელი შეირჩევა კონკრეტულ ვაკანსიაზე, რომელსაც აცხადებს გერმანელი დამსაქმებელი, საქართველოს მოქალაქემ, რომელსაც სურს დროებით დასაქმება, საკუთარი ხარჯებით უნდა უზრუნველყოს:

- პასპორტი;
- ჯანმრთელობის ცნობა (ფორმა N100);
- ორმხრივი ავიაბილეთი;
- PCR ტესტის გაკეთება.

გერმანიაში ჩასვლისა და სეზონური სამუშაოს 3-თვიანი პერიოდის გასვლის შემდეგ, საქართველოს მოქალაქე სამშობლოში უნდა დაბრუნდეს. ამასთან, შეგახსენებთ, დასაქმების მსურველი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- 18 წლიდან 60-წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქე;
 - გერმანიაში გამგზავრებამდე სამი თვით ადრე პერიოდში არ უმოგზაურია შენგენის სივრცეში;
 - ფიზიკური ჯანმრთელობა;
 - მოსავლის აღების სამუშაო გამოცდილება და მოტივაცია;
 - ნებისმიერი მიზეზის (დარღვევის) არარსებობა, რაც იწვევს ქვეყანაში ხელახლა შესვლის შეზღუდვას;
 - გერმანიაში ან ინგლისურ ენის ელემენტარულ საკომუნიკაციო დონეზე ცოდნა.
- რეგისტრაცია შესაძლებელია მთელი წლის განმავლობაში პორტალზე: ნორკა-ბროად.moh.gov.ge. დროებითი სეზონური დასაქმება საქართველოსა და გერმანიას შორის დადებული შეთანხმების ფარგლებში სორციელდება.

მომსახურების სააგენტოში ყველა სახის სერვისი განახლდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში 17 თებერვლიდან, საქართველოს მასშტაბით, COVID-19-ის პრევენციული ღონისძიებების გამო შეზღუდული ყველა სახის სერვისი განახლდა.

შს-ს მომსახურების სააგენტოს ინფორმაციით, 17 თებერვლიდან შესაძლებელი გახდა მართვის უფლების მისაღებ თეორიულ და პრაქტიკულ გამოცდებზე გასვლა. მომხმარებლებს შესაძლებლობა ჰქონდათ, 16 თებერვალს, 24:00 საათიდან ელექტრონულად დაეჯავშნათ თეორიული გამოცდის რიგი.

ასევე, სრულად აღდგა იარაღის რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურები. დაინტერესებულ პირები შეძლებენ იარაღის რეგისტრაციის ნებართვის გამოცდის ჩაბარებას. სერვისების მიწოდება განახლდა თბილისში, ჯ. ბალანჩინის ქუჩაზე მდებარე მომსახურების ცენტრში, ახალქალაქისა და ამბროლაურის სტრუქტურულ ერთეულებში.

რაც შეეხება მომსახურების სააგენტოს მიერ გასაცემ ცნობებს, განაცხადის მიღება შესაძლებელი იქნება ადგილზე, მომსახურების ცენტრებში, ასევე ელექტრონული ნესით, მონაცემთა სუბიექტის მიერ, მომსახურების სააგენტოს ვებგვერდის საშუალებით (sa.gov.ge). ელექტრონული მოთხოვნის საფუძველზე დამზადებული დოკუმენტები გაიცემა შევსებისას მითითებულ სტრუქტურულ ერთეულში.

როგორც ინფორმაციაში აღინიშნა, მომსახურების სააგენტო, მოქალაქეთა უსაფრთხოების მიზნით, სრულად ითვალისწინებს საქართველოს მთავრობის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს რეკომენდაციებს. სააგენტო მოქალაქეებს მოუწოდებს, რომ ადგილზე სერვისების მისაღებად გამოცხადდნენ პირბადით.

გააშენე, მოუარე, დაიცავი!

/დასაწყისი პირველი გვერდიდან/
 ამ საკითხის რეგულირება აუცილებელია იმისთვის, რომ დადგეს ორი მნიშვნელოვანი შედეგი: ერთი მხრივ ქარსაფარი ზოლები გაშენდეს, რაც ხელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მოსავლიანობის ზრდას და მეორე მხრივ, ჩვენ დავიცვათ ნიადაგი ქარსმიერი ეროზიებისგან. ამაში ჩართული არის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მუნიციპალიტეტი და ფერმერი, კერძო სექტორი, რომლის გარეშეც ეს საკითხი წინ ვერ წავა და ვერ გადაწყდება. კანონპროექტში უფრო გასაგებია, თუ რა უნდა გააკეთოს სამინისტრომ, რა ვადაში უნდა შემუშავდეს ინვენტარიზაციის გეგმები. კანონპროექტი საშუალებას მოგვცემს, რომ უფრო მჭიდროდ ვითანამშრომლოთ დონორ ორგანიზაციებთან. ეს არის დიდი გამოწვევა ამ ყველაფრის რეალობაში განსახორციელებლად. თუ მივიღებთ ამ კანონპროექტს, ჩვენ პრობლემის დარეგულირების უფრო მეტი საშუალება გვექნება“.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარმართა-ხელისუფლების წარმომადგენლებს ქარსაფარი ზოლების დაცვის მექანიზმებთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები ადგილობრივმა ფერმერებმაც გაუზიარეს. კითხვები დაისვა ისეთ პრობლემურ საკითხებზე, როგორებიცაა: გარემოს დაცვითი ზედამხედველობის ქმედითობა, საგანგებო დახმარების გამოძახება და მათი სწრაფი რეაგირება, მცირე ადამიანური თუ ტექნიკური რესურსი, სახანავ-სათესებში მომრავლებული საქონლის ძოვება და მოხეტიალე პირუტყვი, სეზონური ხანძრები, მიწების საკუთრებაში გადაცემა, აღრიცხვა, დაკანონება და ა.შ.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი: „აგრარული კომიტეტის გასვლითი სხდომის აქ ჩატარება უკვე მიუთითებს იმაზე, რომ ჩვენ ერთი ნაბიჯით წინ წავინიჭეთ და ის პრობლემა, რომელიც ჩვენს მუნიციპალიტეტს აწუხებს, არ არის მეთავე

ხარისხოვანი. იმედი გვაქვს, რომ გამოსავალს ვიპოვებთ. დღეს ჩვენ გვინდა რეალური სურათი დაგანახოთ და ყოველგვარი შელამაზების გარეშე ვისაუბროთ იმ პრობლემაზე, რომლის მოსაგვარებლად უდიდესი შრომა, ენერჯია და ფინანსები ჩაიდო და რომელიც სამწუხაროდ განადგურდა. თუმცა, იმის ნათელი მაგალითებიც გვაქვს, როდესაც ფერმერები თავიანთი ნაკვეთების გასწვრივ ახალ ქარსაფარს აშენებენ და უვლიან. სწორედ ამიტომ, ქარების პერიოდში უდიდესი განსხვავებაა ქარსაფარიან ნაკვეთსა და სრულიად დაუცველ ნაკვეთებს შორის. ასეთი მაგალითები არის, ალბათ, 1%-ზე ნაკლები. შეიძლება ბევრს უნდა ქარსაფარებზე ზრუნვა, მაგრამ, ისეთი მასშტაბური ხანძრების პერიოდში, როდესაც ასიათასობით ჰექტარი მიწა იწვევა ხოლმე, მზრუნველი და არამზრუნველი ფერმერი აღარ ჩანს. წინა შეხვედრებზე იყო საუბრები ქარსაფარ ზოლებში ნაყოფის მომცემი მცენარეების გაშენების თაობაზე, რომელიც იქნებოდა სწორედ ის დაინტერესება ფერმერებისთვის, რაც მოიტანდა არა მხოლოდ ნაკვეთების დაცვის, არამედ ეკონომიკურ სარგებელსაც. უდიდესი პრობლემა ისიც, რომ დიდ ფართობებზე გაშენებული ქარსაფარი ზოლები დღეს მთლიანად ამოძირკვეული და გადახსულია. აქედან გამომდინარე, მთავარი გამოწვევა ის იქნება, რომ ქარსაფარის ძალიან ბევრ ფართობს დავკარგავთ მისი მისაკუთრების გამო“.

ბასილ თოფჩიშვილი, ფერმერი: „თუ არ გვექნება ქარსაფარი ზოლები, ძალიან დავზარალდებით. ახლაც ვზარალდებით, მაგრამ მომავალში უარყოფითი შედეგი უფრო მეტი იქნება. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ არ ყოფილა ძლიერი ქარი, სავარგული მიწების ზედა ფენა, ანუ საუკეთესო სახნავი მიწა, ქარმა მთლიანად წაიღო. ნიადაგის ამ ფენის აღდგენას კი საკმაოდ დიდი დრო სჭირდება. ასე რომ, ქარსაფარი ზოლების არსებობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.“

გარდა ამისა, აუცილებელია, ზედამხე-



დველობის პროცესის რეგულირება და მინის დაკანონების პრობლემის მოგვარება. ალბათ, უკეთესი იქნება კანონდარღვევის (გადაწვა, გაჩეხვა, უკანონო ძოვება) ადგილზე აღმოფხვრა და დამნაშავე პირის დასჯა. სხვა შემთხვევაში, ჩვენ უკვე აღარ ვიცით ვის მივმართოთ დასახმარებლად“.

ამირან კოლიაშვილი, ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე: „სამწუხაროდ, მთავარი პრობლემა მოვლა-პატრონობაა. მიუხედავად იმისა, რომ ბევრმა უკანონოდ მიიტაცა ქარსაფარი მიწის ტერიტორია, თუ მათ დაუუკანონებთ ამ მიწებს და სახელმწიფოს მხრიდანაც იქნება ხელშეწყობა ქარსაფარი ზოლის გასაშენებლად, ეს ადამიანები მოუვლიან და იზრუნებენ ამ ტერიტორიის დაცვაზე. და თუ ვინმე ამ მოვლილ ქარსაფარს დაზიანებს, ის აუცილებლად უნდა დასაჯოს სახელმწიფომ. მთავარი პრობლემა არის კიდევ ის, რომ სახელმწიფო არ სჯის იმ პირებს, რომლებიც ანადგურებენ ქარსაფარ ზოლებს. დღევანდელი კანონდებლობის დიდი პრობლემა ის არის, რომ უდიდესი ზარალის მიუხედავად, ვერ ხერხდება საქმის აღძვრა და არ

ხდება შესაბამისი სიმკაცრით დასჯა. გარდა ამისა, არსებობს კიდევ ადამიანური თუ ტექნიკური რესურსების სიმცირის პრობლემა. მაშინ, როდესაც მთელს კახეთს მხოლოდ 2 მანქანა ჰყავს ზედამხედველობაში, ბუნებრივია, მთელს შირაქს ისინი ვერ გააკონტროლებენ და აღსრულებაში წამდვილად იქნება ხარვეზები. ჩვენი თხოვნაა, რომ იქნებ როგორმე დაჩქარდეს ამ კანონის მიღება“.

რაც შეეხება ბიუჯეტს, როგორც წინო ნილოსანმა განმარტა, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსები იქნება გამოსაყოფი მიწის სააგენტოსთვის, თუმცა, ეს მომავალი წლის ბიუჯეტში იქნება გათვალისწინებული, რადგან კანონი 2021 წლიდან უნდა ამოქმედდეს. „იმედი გვაქვს და ზუსტად ვიცით, რომ ფინანსურად დონორების დახმარებითაც ვისარგებლებთ, თუმცა საბიუჯეტო თანხებიც იქნება საჭირო“, - ამბობს ნინო ნილოსანი.

მომამზადეს
 შუაშუნა ყანაშვილი
 ხათუნა პინაშვილი

ყურძნის ხარისხის კონტროლი მკაცრდება



ქართული ღვინის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ყურძნის ხარისხის კონტროლი მკაცრდება. ამასთან დაკავშირებით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიამ საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს, კახეთის სამხარეო ადმინისტრაციის, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ხელმძღვანელი პირები, ასევე ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლები დაესწრნენ.

ახალი რეგულაციების თანახმად „როთველი 2021-ის“ ფარგლებში ყურძნის ხარისხის კონტროლი მკაცრდება. ჩასაბარებელი ყურძნის შაქრიანობა, რომელიც შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტაციებითაა დადგენილი, განსაზღვრავს ყურძნის ხარისხს, რაც შემდგომ მის საბაზრო ღირებულებაზეც აისახება. გარდა ამისა, კონტროლი განხორციელდება ადგილწარმოშობის ჯიშების სპეციფიკაციებით განსაზღვრულ მოსავლიანობის ლიმიტზე. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ქართული ღვინის ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია დროულად უნდა იყოს მიტანილი მევენახე ფერმერებამდე. ამ მიმართულებით აქტიურად იმუშავენ სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურები, რომლებიც ღვინის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებთან ერთად რეგიონებში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან და ფერმერებთან შეხვედრებს გამართავენ. გარდა ამისა, მიმდინარე წელს იგეგმება ვენახების კადასტრის პროგრამის დასრულება კახეთისა და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონებში, რაც მნიშვნელოვანია მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარების და ხარისხიანი ღვინის წარმოებისათვის.

როდღიდან გახდება აუცილებელი დასაქმებულის სამუშაო საათების აღწერა

„შრომის კოდექსში“ განხორციელებული ცვლილებებით, დამსაქმებლებს ახალი ვალდებულება გაუჩნდათ. კერძოდ, საუბარია იმაზე, რომ ქვეყანაში აუცილებელი ხდება დამსაქმებელმა დასაქმებულთა სამუშაო საათები აღწეროს. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა უკვე გამოსცა ბრძანება - სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმისა და მისი წარმოების წესის დამტკიცების შესახებ. აღნიშნული ბრძანება 1 მარტიდან ამოქმედდება. როგორც ბრძანებაში ვკითხულობთ, სამუშაო დროის აღრიცხვის წესი განსაზღვრავს სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმის კომპონენტებს, შევსებისა და წარმოების პროცედურებს. სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმა არის დასაქმებულთა სამუშაო დროის (ნამუშევარი საათების) აღრიცხვის ყოველთვიური დოკუმენტი, რომელიც მოიცავს წერილობით ან ელექტრონული ფორმით აღრიცხულ მონაცემებს დასაქმებულთა მიერ ნამუშევარი საათების შესახებ. სამუშაო დროის აღრიცხვა სავალდებულოა საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული დამსაქმებლებისთვის (ფიზიკური ან იურიდიული პირი ან პირთა გაერთიანება). „სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმის წარმოება შესაძლებელია როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული ფორმით. სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმაში ინფორმაცია აისახება ერთჯერადად, ყოველი თვის ბოლოს ან პერიოდულად, მთელი თვის განმავლობაში. სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმის დახურვის თარიღი დგინდება დამსაქმებლის მიერ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული თვის 10 რიცხვისა. დამსაქმებელი ვალდებულია სამუშაო დღეს წერილობით ან ელექტრონულად აღრიცხოს დასაქმებულთა მიერ ნამუშევარი დრო და სამუშაო დროის (ნამუშევარი საათების) აღრიცხვის ყოველთვიური დოკუმენტი გააცნოს დასაქმებულს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც, სამუშაოს ორგანიზების სპეციფიკიდან გამომდინარე, ეს შეუძლებელია. დასაქმებული უფლებამოსილია დამსაქმებლისგან მოითხოვოს მის მიერ ნამუშევარი საათების აღრიცხვის დოკუმენტ(ებ)ის გაცნობა,“-აღნიშნულია ბრძანებაში.

ბრძანების მიხედვით, სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმა, როგორც ყოველთვიური დოკუმენტი, საბოლოო წერილობითი ან ელექტრონული დოკუმენტის სახით შევსებული და ხელმოწერილი 1 წლის განმავლობაში ინახება დამსაქმებელთან ან მის მიერ განსაზღვრულ სტრუქტურულ ქვედანაყოფში/პირთან. ამასთან, წესის მიხედვით, დამსაქმებელი ვალდებულია, განსაზღვროს დასაქმებულის სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმა წარმოება/შევსება, შენახვაზე.

ს ა ბ ჭ ო თ ა ო კ უ პ ა ც ი ა ს 100 წ ე ლ ი

1921 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) ძალისმიერი დამხობის შემდეგ ქვეყანაში საბჭოთა რეჟიმი დამყარდა, რომელმაც ტოტალიტარული სახელმწიფოს, საბჭოთა კავშირის, შემადგენლობაში შეიყვანა ქვეყანა. კომუნისტური ტირანიის დამყარებას მოჰყვა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ემიგრაცია ევროპაში, საქართველოში კი წინააღმდეგობის კერების წარმოშობა, ქართველ ინტელექტუალთა, პატრიოტ მოქალაქეთა პროტესტი, მათი რეპრესიები და მასობრივი ტერორი.

1921 წელი მრავალმხრივ მნიშვნელოვანი თარიღია საქართველოს ისტორიისთვის. ამ პერიოდის მოვლენებმა ასახვა პოვა ქვეყნის ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. ეს არის ტრაგიკული წელი, რომელმაც მნიშვნელოვნად განაპირობა საქართველოს ისტორიაში სხვა მოვლენებიც. 1921 წელი საქართველოსთვის არის საბჭოთა ეპოქის დასაწყისი.

2021 წლის 25 თებერვალს ბოლშევიკური რუსეთის მიერ დამოუკიდებელი საქართველოს ოკუპაციიდან 100 წელი სრულდება.

სწორედ ამიტომ, გადავწყვიტეთ, ეს თარიღი თქვენთვის უნიკალური ფოტო-მასალით მოგვეყოლა და გაგვეხსენებინა ის წლები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ისტორიაში გარდამტეხი აღმოჩნდა. უნიკალური ფოტო მასალა დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში და ეროვნულ ბიბლიოთეკაში.



მარცხენი: ნოა რაჰიშვილი (1881-1930) საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობის პირველი თავმჯდომარე; მარჯვნივ: ნოა შირაღანი (1868-1953) საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე



ღაფთაძეანაული ქაბახის აღმწარულ სწავლათა დარბაზის ინტერიერი



პირველი რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი



თბილისი, 1921 წელი. მე-11 წითელი არმიის შემოსევა თბილისში.
Tbilisi. 1921. The 11th red army entered Tbilisi.



ბარეჯი ჩვენი და ჩვენი იქნება

ძვირფასო მკითხველო, ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გავაცანით ისტორიული ფაქტები დავით გარეჯელის მოღვაწეობის შესახებ და დოკუმენტი, თუ როგორ გახდა სადავო კომპლექსის ერთი ნაწილი. დღეს გთავაზობთ საზოგადოების აზრს გარეჯის თემასთან დაკავშირებით.

მუშუა დიმიტრი, - დედოფლისწყაროსა და შერეთის ეპარქიის ეპისკოპოსი: - რამდენიმე დღის წინ, 11 თებერვალს ჩატარებულ სინოდის კრებაზე მიიღებოდა განჩინება, სადაც გამახვილდა ყურადღება დავით გარეჯის საკითხზე. „წმინდა სინოდმა დაადგინა: საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის დავით გარეჯის კომპლექსის დღევანდელი სადაო მონაკვეთის, მონასტრები: ჩიჩხიტური და უდაბნო, - წარმოადგენს ქართველი ერის ისტორიული, სარწმუნოებრივი და კულტურული იდენტობის ნაწილს.“ განჩინებაში აღნიშნულია, რომ 1996 წელს ხელმოწერილია საქართველოსა და აზერბაიჯანის სახელმწიფოებს შორის დადებული ხელშეკრულება, რომ ქვეყნებს შორის სახელმწიფოთა საზღვარი უნდა გაივლოს 1938 წ. მდგომარეობით, ხოლო 1938 წ. სასაზღვრო მდგომარეობის დამდგენ უპირატეს და ლეგიტიმურ კარტოგრაფიულ მასალას წარმოადგენს 1937-38 წლებში დაბეჭდილი 1: 200 000 მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ის, რომ დღეს ადამიანები ამბობენ, უდაბნოსა და ჩიჩხიტურის ტერიტორია არის აზერბაიჯანის საკუთრებაო, რაც საქართველოს, ქართველი ხალხის ინტერესებს სცდება. საჭიროა, ორ სახელმწიფოს შორის ხშირი შეხვედრები, გამჭვირვალე დიპლომატიური კონფერენციები, კარტოგრაფების, ისტორიკოსების, სახელმწიფო მეთაურების შეხვედრა, რათა მშვიდობიანად, სამართლიანად წარმართოს პროცესები.

ნანული ნატროშვილი, დედოფლისწყაროს მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამსახურის ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი, ისტორიკოსი: - „დავით გარეჯი არამარტო საქართველოს ტერიტორიული ნაწილია, არამედ მართლმადიდებლური საქართველოს უდიდესი სიმბოლოც, სადაც მეექვსე საუკუნიდან მოყოლებული წმიდა დავითი, ლუკიანესთან ერთად, დასახლდა მზისგან გადაშენვარ, გველებით სავსე კლდოვან ადგილზე, თბილისიდან სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს. მან მთელი ცხოვრება აღსრულებამდე მის მიერ კლდეში გამოკვეთილ კელიაში გაატარა. იგი ადამიანებისგან მოშორებით მიიღო დღეს ლოცულობდა და საკუთარი თავის განსჯას ანდომებდა. დროთა განმავლობაში ამ ადგილს უამრავი ბერი შეემატა, რომლებიც სულიერად განამტკიცებდა. მალე წმიდა ლავრას შეემატა წინონ-მინდაში მოღვაწე წმიდა ბერი დიდა. წმიდა მამამ მას გონების სიმახლე შენიშნა და ტაძრის მშენებლობა დაავალა. წმ. დიდამ ორასზე მეტი სენაკი გამოაკეთა და მოკვანებით ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძარიც დაასრულა. იქ აშენებული ქრისტიანული სიმბოლოების მცირე ჩამონათვალიც კი - უდაბნო, დავითის ლავრა, ნათლისმცემელი, საბერეთი, ქოლაგორი, დოდოს რქა, ჩიჩხიტური, ბერთუბანი და ა.შ მეტყველებენ, რომ ეს საქართველოა. ცნობილია, რომ წმ. დავითმა იერუსალიმში მოსალოცად ფეხით წავიდა გადაწყვიტა, ხოლო ბერებზე უფროსა ჩამოსვლამდე ლუკიანეს დაავალა. ადგილამდე მისვლისას, ქალაქის შესასვლელში არსებულ „მადლის მთაზე“ დაბინავდა. იქიდან გადახედა წმინდა ქალაქს, თხლებზე დაიჩოქა და წარმოთქვა: „კურთხეულ არს სახელი წმ. დიდებისა, რომელმან მეცა ღირსმყო მონა შენი მოწვევადა ხილვად, ხოლო არღარა ვიკადრო წარღმად სვლად“, ეი წმინდანმა თავს არ მისცა უფლება ფეხი დაედგა იმ მინაზე, სადაც დადიოდა უფალი ჩვენი იესო ქრისტე. მოლოცვის შემდეგ გამოემართა სამშობლოსაკენ და თან წამოიღო მადლის მთიდან აღებული სამი ქვა. გაიგო ამის შესახებ იერუსალიმის პატრიარქმა მაკარმა და შეშოთადა, იერუსალიმის მთელი მადლი სხვაგან მიედინებოდა, კაცები დაადევნა და წმინდანი იერუსალიმში მიიპატიჟა. წმიდა დავითი უკან არ დაბრუნებულა, თუმცა, დაუტოვა ორი ქვა, ერთი კი როგორც წმიდა ევლოგია ჩამოიტანა გარეჯის ლავრაში და დაბრძანა ძვირფას ლუსკუმაში. როგორც ცნობილია, ქვას მაგიური ძალა ჰქონდა. მასთან შეხებისას ავადმყოფები ინკურებოდნენ, ბრძენებს მხედველობა უბრუნდებოდათ და ა.შ. თვით დავით გარეჯის მოლოცვა სამჯერ თუ მოხდებოდა, იერუსალიმის მოლოცვის ტოლფასს წარმოადგენდა. ხსენებული მადლის ქვას კი მინიჭებული ჰქონდა „მესამედ მწირო

იერუსალიმის მადლისა“. ხედავთ, რამდენად დიდი სიმნიშვნელოვანი დავით გარეჯი?! იგი ჩვენი და არც არავის დაუთმობთ, „მე შეპქმენ ყოველნი საზღვარი ქვეყნისანი“ (კ. X, 73-18). ასე მიმართავს დავით მეფესალმუნე უფალს. წმ. დავით გარეჯელმაც ხომ ასე დაგვარგია, „ნუ შეძრწუნდებით, როცა აღმოვითდებით, სცანით ამოებისა საწოთისა დაუდგომელისა“. დავით გარეჯი ჩვენი, ჩვენი სიამაყეა, მისი ფრესკები არამარტო სასულიერო, არამედ საერო და სოციალურ-კულტურული დონის მაჩვენებელია. ნურავინ ეცდებოდა აუიოტაყით და განხეთქილებით ზიანი მოუტანოს ქვეყანას, სიმართლე თავის გზას აუცილებლად იპოვებს.“

მამარ ტისპარაშვილი, აფხაზეთის ომის მონაწილე: - „მე აფხაზეთის ომის მონაწილე გახლავართ და, ვიცი, რა მტკივნეულია მშობლიური მიწის ერთი მტკაველის დაკარგვა. ცხოვრების განმავლობაში, სიცოცხლის



უკანასკნელ წუთამდე მიმყვება 1993 წლის 27 სექტემბრის ტკივილი, როდესაც სოხუმი დაეცა, როდესაც გავაცნობიერეთ, რომ ბრძოლას ვეღარ გავაგრძელებდით, აფხაზეთი დაგვიკარგა... ჩვენი რაიონიდან 13 გულანთებული ახალგაზრდა ერთად გავემგზავრეთ და ყოველგვარი ძალდატანებისა და ბრძანების გარეშე ჩავეხივით ბრძოლაში, მაგრამ... მორგებში და პოსტიტალებში დაგვექმდნენ, ჩვენ კი სვანეთის მთებში, გაუსაძლის ყინვასა და უამინდობაში, ლტოლვილებს მივაცილებდით, ბავშვებსა და მოხუცებს ვეშველებოდით ულტრაბეჭის გადალახვასა და სამშვიდობოს გასვლაში... ვტოვებდით აფხაზეთს და გვეჯეროდა, რომ ეს იყო დროებითი, რომ დაგვბრუნდებოდით, რომ ისტორიული სინამდვილე დაგვავტრუნებდა... დღეს თუ ხვალ ასე იქნება, მაგრამ არა ხმლითა და ტყვიით, არამედ სიტყვით, ფაქტებით. XXI საუკუნეა, დიპლომატიის საუკუნე, ჩემმა განვლილმა ცხოვრებამ ერთი სიტყვა „ლალატი“, განსაკუთრებით შემეჯავრა, შესაბამისად მოვალატეც, მითუმეტეს სამშობლოს მოვალატეც! თუმცა, ამ „იარლიყის“ მიკერება ძალიან საფრთხილო საქმეა, რადგან უმძიმესი სატარებელია, დღეს დიდა განსჯა განხილვის საგანია დავით გარეჯის საქმე. გარეჯის სამონასტრო კომპლექსი ქართული სალოცავი რომ არის, ამაზე ნუ ვიდავებთ, იმაზე ვიფიქროთ, არიან თუ არა ჩვენს დროში ამ საქმის მოვალატეები. ეს კი სასამართლო უნდა გადაწყვიტოს, რადგან ვალდებული ვართ, მოთმინებით დაველოდოთ და წინასწარ ნურც „გამირებად“ ვაქცევთ ვინმეს, ნურც „მოვალატეებად“. სრულ უაზრობად მიმაჩნია ივერი მელაშვილისა და ნატალია ილიჩოვას გიროს თავდებით გამოშვებისას „TV პირველის“ ეთერში გამართული ზარ-ზეიმი, მითუმეტეს კაცი პირდაპირ ეთერში აცხადებდა, რომ „ის რაც ჩვენ არ არის, არავინ დაგვითმისო“. მეტი წინდახედულობა და პასუხისმგებლობა მართებთ ყურნალისტებსაც და პოლიტიკოსებსაც განცხადებების გაკეთების დროს. ნუ დავივიწყებთ, რამდენი სისხლი და ოფლი დაედევნა ჩვენს მამა-პაპას თითოეული გოჯი მიწის შესანარჩუნებლად. უბედურზე უბედური იქნება ის ადამიანი, ვისაც ამ საქმეში ბრალი დაედება, რადგან ამის საპირისპირო დედამიწაზე არაფერია, არც ფული, არც დიდება, ან თანამდებობა, არც არაფერი. ეს გამოუსწორებელი შეცდომაა. დაველოდოთ მოვლენების განვითარებას.

ჯუღიტა გობილაშვილი, დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი: - საქართველოს ისტორიაში

სამონასტრო ცხოვრებას დიდი ხნის ისტორია აქვს. ეს პროცესი დაიწყო მე-6 საუკუნის 30-იანი წლებიდან, როდესაც ქართლში შემოვიდნენ საეკლესიო მოღვაწეები - ასურელი მამები. მათ შორის იყო დავით-გარეჯელი. მათი მიზანი იყო ქართლში ქრისტიანობის გამტკიცება ირანელთა აგრესიის შემდეგ. აქედან მოყოლებული, მონასტრები ქართული მნიშვნელობისა და კულტურის მქონე კერებად იქცნენ. ჩვენი ქვეყნის მინების განხილვას საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 20-იან წლებში. და როგორც დავინახეთ, დღესაც უარს არ ამბობენ ამ პროცესის გაგრძელებაზე. დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის მცირე ნაწილი-ბერთუბანი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარეობს. უდაბნოსა და ჩიჩხიტურის მონასტრები დღეს სადაო გამხდარა ორ ქვეყანას შორის. ივერი მელაშვილის განცხადება, რომ დავით გარეჯის



ეს მონაკვეთი აზერბაიჯანის კუთვნილებაა, სამარცხვინოა. მისი ქმედებიდან გამომდინარე, რა მაგალითი უნდა მივცეთ მომავალ თაობას, როგორ უნდა ჩავუხერხოთ მათ სამშობლოს სიყვარული, პატრიოტიზმი, ერთგულება და თანადგომა, თუ შესაძლებელია და თანადგომა, თუ შესაძლებელია დავემორჩილებით და ამით თავსაც დავიღუპავთ და სამშობლოსაც. მე, როგორც პედაგოგს, მჯერა მომავალი თაობის. ისინი შესძლებენ ავისა და კარგის გარჩევას და სამშობლოს სადარჯოზე ერთგულად იდგებიან. ამაში კი დიდი როლი სკოლამ და პედაგოგებმა უნდა შევასრულოთ, რადგან ახალგაზრდობის წრეობა სკოლის მერხიდან იწყება.

ნინა ტოქლიაშვილი, - ქ. დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი, - დავით გარეჯი ქართველი ადამიანისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რელიგიური, კულტურული ძეგლია, ამიტომ სენსიტიურია ამ თემაზე საუბარი, მითუმეტეს, რომ სადავო მისი გარკვეული ნაწილი ჩვენს მიუბოლ და პარტნიორ ქვეყანასთან-აზერბაიჯანთან. რამდენიმე ათეული წელია, მიმდინარეობს ამ საკითხის განხილვა, თუმცა, ბოლო წლებია, განსაკუთრებით აქტუალური გახდა. წინა წლის სექტემბრის თვეში კიდევ უფრო გაცხოველდა დავით გარეჯის სადავო ტერიტორიის ირგვლივ საუბარი და მალევე, 7 ოქტომბერს, ქართველი კარტოგრაფები, ივერი მელაშვილი და ნატალია ილიჩოვა დააკავეს საქართველოს კონსტიტუციის 308-ე მუხლის მიხედვით, რაც ითვალისწინებს, საქართველოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის დარღვევას, საქართველოს საწინააღმდეგო მოქმედებას. დღეს რთულია რამის თქმა, რადგან ჯერ კიდევ სასამართლო იძიებს კარტოგრაფების საქმეს, მაგრამ უამრავი კითხვა გვიჩნდება, რადგან არავითარგვანან პოზიცია საზოგადოებაში. ზოგიერთი განიყოველიურად გვესმის, რომ თითქოს მართლაც არ ეკუთვნის საქართველოს ეს სადავო ტერიტორია, მაგრამ საკითხს უნდა მივუდგეთ ლოგიკურად, ემოციების გარეშე, გადავხედოთ 1996 წლის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რუკებსა და სხვადასხვა ისტორიულ წყაროებს, რის შემდგომაც დასკვნების გაკეთება უფრო ადვილი იქნება. აღსანიშნავია ტოპონიმაცია: დავით გარეჯის ეკლესიას უკავშირდება სხვა ეკლესიები, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ ეს ერთიანი კულტურის, რელიგიური, სახელმწიფოებრივი თუ სხვა ფაქტორების გათვალისწინებით ერთ მთლიანობას შეადგენს და შეუძლებელია მათი გაყოფა, ორ სხვადასხვა

ტერიტორიაზე ყოფნა. ისტორიულ წარსულს რომ გადავხედოთ, დავით გარეჯის ეკლესია და შემდეგ უკვე მისი კომპლექსი არის ქართული სამთავროების, ქართული სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ადრეულ ცნობებში, მე-17, მე-18, მე-19 საუკუნეების რუკების მიხედვით. მე-19 საუკუნეში, როდესაც ქართული სამთავროები რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა, ეს ტერიტორია, ეს დავით გარეჯის კომპლექსი, იყო ქართლ-კახეთის სამეფოს შემადგენლობაში. შემდგომ უკვე, რატომღაც, მოხდა წითელ ხელსა და შამქორის რაიონს შორის მდებარე ისტორიული გარდაბნის ტერიტორიაზე, რომელიც უფრო სამხრეთით მდებარეობს, ვიდრე დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველოს საზღვრები გეოგრაფიკული ტრაქტატის მიხედვით აღდგა, ამის მიხედვით, რა თქმა უნდა, დავით გარეჯი საქართველოს შემადგენლობაში იყო. არა მხოლოდ დავით გარეჯი, დღესთვის სხვა სადავო და დაკარგულიც. საქართველოს ტერიტორია, რომელიც ალიარა სხვადასხვა სახელმწიფომ პარიზის საერთაშორისო კონფერენციაზე, საყურადღებოა, რომ 1919 წელს საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის დაიდო თავდაცვის პაქტი ორ მეგობრულად განწყობილ ქვეყანას შორის, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, ურთიერთდახმარებას ითვალისწინებდა და ამასთან, თანხმდებოდნენ ტერიტორიული დავების მოლაპარაკებით გადაწყვეტაზე. ასეც უნდა გაგრძელდეს, არ უნდა დაიკარგოს ის პაქტის ცემა და დამოკიდებულება. როგორც ვიცით, ასევე მიმდინარებს საუბარი იმასთან დაკავშირებით, რომ გაცვლა მოხდეს სხვა ტერიტორიის დავით გარეჯის იმ ნაწილის სანაცვლოდ, რომელიც სადავოა, თუმცა ამ შეთავაზებას, აზერბაიჯანი არ თანხმდება. ყველანაირად უნდა ვეცადოთ, რომ ეს ორივე მხარისთვის მტკივნეული საკითხი, იყოს მშვიდობიანად მოგვარებული, რადგან ისედაც ვებრძვი „უხილა“ მტერს და ახლა იმის დრო არაა, ვუმტროთ ჩვენს პარტნიორ ქვეყანას. ძალიან მნიშვნელოვანია, კავკასიის, ამ უძველესი ცივილიზაციის ქვეყნებში შექმნილი ურთიერთდახმარება, შეთანხმება, როგორც ეს საუკუნეების განმავლობაში ხდებოდა. ვფიქრობ, იმის თქმა, რომ დავით გარეჯის ის ნაწილი, რომელიც სადავოა, არ არის საქართველოს ნაწილი, იგივეა თქვა, რომ აფხაზეთი, სამაჩაბლო, საინგლო, არ არის ჩვენი ტერიტორია. სამწუხაროდ, ბევრი ტერიტორია დავკარგეთ და თითოეული ეს მინა არის ჩვენი ტკივილი, ჩვენი წინაპრების სისხლით მოწვეული მინები.

მარიამ შიშინაშვილი, - სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი, - საქართველოს ძირძველი მინა დავით-გარეჯი რომ საქართველოა, ამას ამბობს თვით ეთნიკურად აზერბაიჯანელი, საქართველოში მცხოვრები ისტორიკოსი შირვან ალიევი. მას თავისი მოსწავლეები ნაცვანული ჰყავდა დავით-გარეჯში არსებული სიმბოლოების სანახავად, რომელიც საქართველოს ნაწილია გაცვნი. განა შეიძლება ამ თემაზე პოლიტიკაში შევიდეთ და ვამტკიცოთ, რომ დავით გარეჯი საქართველოა?! სირცხვილია, ამ თემაზე გაცხარებული დისკუსია რომ არის განალებული. ის, რომ საზღვრის ნაწილი დასადგენია ორ ქვეყანას შორის, ეს სამწუხაროდ არის მოცემული რეალობა, რომელიც დავით-გარეჯის საბჭოთა კავშირმა. სწორმა და ეფექტიანმა დიპლომატიამ უნდა უზრუნველყო სწორი გზის მონახვა. საბჭოთა კავშირი იყო ათეისტური სახელმწიფო, ამიტომ საზღვრები განალაგეს პრაგმატულად, იქვე მოაწყეს სამხედრო „პოლიგონი“ და არაფრად ჩააგდეს მონასტრის კომპლექსი. აქედან ჩაეყარა საფუძველი იმ პრობლემას, რომელმაც თავი იჩინა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. მაგრამ, საბედნიეროდ, გვაქვს მტკიცებულება 1938 წლის რუკის სახით, რომლითაც შეგვიძლია მოვიხილოთ საზღვრის სწორად გაკვება. მიუხედავად ამ ყველაფრისა, გარეჯი საქართველო იყო, არის და იქნება! მესამე ძალა ვერ გაიხარებს! გაგმარევებოდეს მტერზე ორგულზე, ლაჩარსა და გამყიდველზე, ჩემო საქართველო, ჩემო გარეჯა! მოვა მაისი და ისევე შეერევა გარეჯის ზეგანს ყაყაოები, ჩვენი წინაპრთა გადამთიელთაგან უსამართლოდ დაღვრილი სისხლის მაცნე... რას ვეტყვით წინაპრებს, გვექნება მათთან შეხვედრის პირი?! გარეჯი - ჩემია, ჩემი შვილები, შვილიშვილების, მათი მომავლის ...

მასალა მოამზადა ნაირა შირაშვილი

ონლაინ სივრცე და რეალური სივრცეში...

2020 წელი პრობლემური იყო ბევრი სფეროსთვის, მათ შორის, განათლების სისტემისთვის, თუმცა, პრობლემებთან ერთად პანდემიამ ახალი შესაძლებლობები გააჩინა. საგანმანათლებლო დაწესებულებების დისტანციური სწავლების ფორმატზე გადასვლამ დააჩქარა ციფრულ ტექნოლოგიებში მასწავლებლების და მოსწავლეების კომპეტენციის ამაღლება, მაგრამ მაინც 2021 წლის გამოწვევად დარჩა კომპიუტერული მოწყობილობებისა და ინტერნეტის ხელმისაწვდომობა.

როგორია მასწავლებლების თვალთქონი 2020 წელი განათლებაში - რა პრობლემებთან და სიახლეებთან შეგუება მოუწიათ, რა ისწავლეს და რა გამოწვევები დაძლიეს, რაში სჭირდებოდათ თანადგომა და როგორ გაართვეს თავი გამოწვევებს, რა გააკეთეს იმისთვის, რომ არაფერი დაეკლოთ მოსწავლეებისთვის და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, რა შედეგებით დაუბრუნდნენ ბავშვები 7 თვიანი, ხანგრძლივი ონლაინ სწავლების შემდეგ სასკოლო სივრცეს.

რუსუდან მონაპეტილი, ხორნაბუჯის საჯარო სკოლა - ონლაინ სივრცედიან რეალურ სივრცეში დაბრუნების შემდეგ როგორი განწყობა შეინიშნება ბავშვებში? ყველანაირი - ზოგი ბედნიერია დაბრუნებით, ზოგი უკმაყოფილო. ეს მაინც მოტივაციაზეა დამოკიდებული. ზოგადად, უმეტესობა მაინც კმაყოფილია ერთად ყოფნის გამო, სწავლის მხრივ ამას არაფერი ემჩნევა ჯერჯერობით. რაც შეეხება ათვისების შეფერხების საკითხს, ეს ყველაზე ნაკლებ სანერვიულო მგონია მე. ჩამორჩენაც და შეფერხებაც დაძლივდა. მაგრა, უმეტეს შემთხვევაში ასეც იქნება. შეფერხება რომ არის, ამას ვერაფერს უარყოფს ბევრი მიზეზის გამო, მაგრამ ადვილად მოსაგვარებელია ეს პირისპირ სწავლებისას; ექვსთვიანი დისტანციური სწავლების რეჟიმში ყველაზე ერთნაირად აისახა, თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ სერიოზული ჩავარდნა იყო. პროცენტულად სწავლების შედეგი (ჩემთან მაინც) თითქმის

დანაკლები კლასების მოსწავლეთათვის, რომლებსაც დამოუკიდებლად უჭირდათ ტექნოლოგიებით სარგებლობა და მუდმივად საჭიროებდნენ მშობელთა დახმარებას.

ერთ-ერთი დამხმარე და ეფექტური საშუალება იყო ტელესკოპი, რომელიც საინტერესო გაკვეთილებს სთავაზობდა მოსწავლეებს ყველა საგანში.

ასე რომ, სერიოზული ჩავარდნა არ გამოუწვევია ონლაინსწავლებას, მაგრამ, ყველა ვთანხმდებით იმაზე, რომ რეალური საგანმანათლებლო სასკოლო სივრცე შეუცვლელია უფრო მეტი შედეგის მისაღწევად.

ონლაინსწავლება იყო ერთდერტი სწორი გამოსავალი, რომელიც ასე ეფექტურად, შემჭიდროვებულ ვადებში დანერგა განათლების სამინისტრომ. დამეთანხმებით, რომ ყველაზე პრიორიტეტული ჯერ ბავშვების ჯანმრთელობაა. სერიოზული ჩავარდნა ნამდვილად არ გვაქვს, ხარვეზების გამოსწორება კი შესაძლებელია. მასწავლებლები ყველაფერს აკეთებენ, რომ მოსწავლეებს ყველა კითხვაზე ამომწურავად გასცენ პასუხი. მიმჩნია, რომ ყველა სიძნელე დაიდგინა და გონივრული მიდგომით პანდემიასაც დაეხმარებოდნენ და არც საგანმანათლებლო პროცესი დაზარალდება.

ქაბა სივანაშვილი, პირველი საჯარო სკოლა - დისტანციური სწავლების ფორმატი სრულად ვერ ჩანაცვლებს სწავლა-სწავლების სასკოლო ფორმატს, სწავლების ხარისხს, მოსწავლეებს შორის კომუნიკაციას, საგაკვეთილო პროცესს, მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ინტერაქციას. დისტანციურ სწავლებას ახლავს თანმდევი პრობლემები. თუმცა, საკლასო სივრცეში დაბრუნებამ, მყისიერი ცვლილება მოახდინა სასწავლო განწყობაზე. რეალურ საკლასო გარემოში ჩართული მოსწავლეები და მასწავლებელი კარგად იცნობენ ერთმანეთის მოთხოვნებს, მოლოდინებს. ბუნებრივ სიტუაციაში მთლიანობაში აღქმა შესაძლებელს ხდის მოსწავლეთა ინდივიდუალური

სწავლების დროს, კვირული საათობრივი დატვირთვა და საგაკვეთილო დროის ხანგრძლივობა შემცირებულია; მოსწავლეთა ნიშნები არდასწრება, რიგი მიზეზების გამო; ასევე, როგორც მოსწავლეებისთვის, ისე მასწავლებლებისთვის სიახლე იყო დისტანციური სწავლების პლატფორმებზე მუშაობა. ყველანი გამოუცდელი ვიყავით, თუმცა, მალევე გავინაყფეთ ეკრანის გაზიარების, კამერის წინ მუშაობასა და სხვა ტექნიკურ უნარებში.

ჩემი პირადი შეხედულებით, დისტანციურ სწავლებას არ გამოუწვევია დიდი და სერიოზული ჩავარდნა. დისტანციური სწავლება საკმაოდ რთული და შრომატევადი საქმეა. იმაზე მეტ ძალისხმევას მოითხოვს, ვიდრე „ცოცხალი“ გაკვეთილები. ასეთ გაკვეთილზე შეგიძლია მოსწავლეებს თვალში უყურო და მარტივად მიხვდე, გაიგო თუ არა მან ახალი მასალა, საკი-

და მასწავლებლებიც უფრო ლოიალურები არიან, ვიდრე რეალურ გაკვეთილებზე. რაც შეეხება ექვსთვიანი დისტანციური სწავლების ეტაპის გავლენას მოსწავლეებზე, ჩემი აზრით, სკოლების დახურვამ უარყოფითად იმოქმედა ბავშვებსა და მათ განვითარებაზე. თანატოლებთან ყოველდღიური ურთიერთობის, ფიზიკური აქტივობის გარეშე დარჩენილი ბავშვების ჯანმრთელობა გაუარესდა, გახშირდა ბავშვებში ფსიქიკური დარღვევების ნიშნები.

მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეები საკმაოდ გაინაფნენ ტექნოლოგიების კუთხით და მალაღობა აკადემიური მოსწავლის მოსწავლეები ონლაინ გაკვეთილებზეც კარგად ახერხებენ ცოდნის მიღებას, ყველა პედაგოგი აღნიშნავს, რომ რეალურ სივრცეში დაბრუნების შემდეგ, დაბალია მოსწავლეთა მოტივაცია, ხალისი, შესამჩნევია პროგრამით გათვალისწინებული მასალის ათვისე-



იგივეა, რაც საკლასო ოთახში. ბევრი რამე იჯახნება დამოკიდებული და იჯახნა თუ სათანადო ყურადღებას არ აქცევენ ბავშვს, ერთი და იგივე შედეგი იქნება, გინდ პირისპირ სწავლებისას და გინდ დისტანციური სწავლებისას. მე ამას უფრო „ექსტრემალურ ტრენინგებს“ დავარქმევდი. ბევრი რამის სწავლა მოგვიჩინა ჩვენც, მოსწავლეებსაც და მშობლებსაც. იმედია, აღარ დაგჭირდება დისტანციური სწავლება, არა იმიტომ, რომ ცუდია ან თავს ვერ ვართმევთ ასე თუ ისე, შეუძლებელია უკვე ფიზიკურად ამ ყველაფრის ატანა, ადამიანურ ურთიერთობებს მოკლებული, ასოციაციურიც ხვები.

ქაბა სივანაშვილი, მეორე საჯარო სკოლა - ყველა დამეთანხმება იმაში, რომ ონლაინსწავლებას თან უამრავი სირთულე ახლდა: ვირტუალური ურთიერთობა, შემცირებული გაკვეთილები, ზოგიერთი მოსწავლეს ტექნიკური საშუალებები და ინტერნეტი არ ჰქონდა, რათა სრულფასოვნად ჩართულიყო სწავლების პროცესში. მოსწავლეებიც და მასწავლებლებიც დიდი გამოწვევების წინაშე ვიდექით. მოსწავლეებს ძალიან ენატრებოდათ სკოლა და თანატოლები. ისინი დიდი სიხარულით შეხვდნენ სკოლაში სწავლის განახლების ფაქტს.

ვერ ვიტყვით იმას, რომ ონლაინსწავლება შეფერხებისა და ხარვეზების გარეშე მიმდინარეობდა, თუმცა, მას ჰქონდა თავისი დადებითი მხარეებიც. მოსწავლეებიც და მასწავლებლებიც დავეუფლეთ ახალ პროგრამებს, უფრო ეფექტურად ავითვისეთ ტექნოლოგიები, ვიყენებდით საინტერესო რესურსებს. მოსწავლეებისთვის სწავლების ეს ფორმა საინტერესო და მიმზიდველი იყო. ისინი ხალისით ერთგვობდნენ დისტანციურ გაკვეთილებზე. სირთულე იყო უფრო

თავისებურების გათვალისწინებას, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ნებისმიერი ცვლილება გარკვეულ სადაპტაციო პერიოდის გავლას მოითხოვს, რაც საბედნიეროდ, გადავლახეთ. ონლაინ სწავლების პირობებში არსებულმა ტექნიკურმა ხარვეზებმა, შემცირებულმა საგაკვეთილო დრომ, პროგრამით გათვალისწინებული მასალის ხარისხიანად გადაცემისა და ათვისების, ანუ სწავლა - სწავლების ჩვეული, დანერგილი დისბალანსი დაარღვია, მაგრამ პედაგოგების და ბავშვების თანხვედრი ძალისხმევით, არსებული ვარდნა არ აისახება ხანგრძლივად მოსწავლეებზე.

შორენა ალუღიშვილი, პირველი საჯარო სკოლა - სკოლა, გარდა იმისა რომ მოსწავლეს აძლევს განათლებას, ის ავითარებს სოციალურ-ემოციურ კომპეტენციას. ძალიან მნიშვნელოვანია პირისპირ ურთიერთობები გვექნდეს ადამიანებთან. ხშირად მოისმენდით, რომ ბავშვებს ენატრებათ კლასელები, ენატრებათ მათთან ერთად თამაში, გართობა და ჩახუტება. ონლაინ სწავლების სივრცე საკმაოდ სტრესული აღმოჩნდა ბავშვებისთვის, შესაბამისად, სკოლაში დაბრუნებამ მათზე დადებითად იმოქმედა. ამაღლებული განწყობით გვეგებებიან მასწავლებლებს და მონატრებულ თანაკლასელებს უზიარებენ დადებით ენერჯიას. პროგრამით გათვალისწინებული მასალის ათვისების შეფერხება, რა თქმა უნდა, შეინიშნებოდა: პირველი უმთავრესი პრობლემა იყო ინტერნეტისა და ტექნიკური მოწყობილობების გაუმართაობა და მათზე ხელმისაწვდომობა. ელექტრონული სწავლების პროცესი ხშირად ფერხდებოდა სუსტი ინტერნეტისა და კომპიუტერული ტექნიკის გაუმართაობის გამო; დისტანციური

თბი. როგორც ყველა მოვლენას, დისტანციურ სწავლებასაც აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. დადებითი არის ის, რომ ონლაინსწავლებამ მშობლები და მასწავლებლები უფრო დაახლოვა, უფრო მეტად არიან ჩართულნი და დაინტერესებულნი მათი შვილების სწავლა-განათლების საკითხით. ისინი რომ არა, ნამდვილად ვერ შეძლებდით ნარმატებულ სასწავლო პროცესს. ჩემთვის, პირადად, ეს იყო ახალ რელსებზე გადაწყობის წელი. უამრავი მეთოდი დაგვხვდა, ვისწავლე, მოდიფიცირება გავაკეთე ონლაინ სწავლებისათვის. მუდმივად ძიების პროცესში ვარ. სხვადასხვა პროგრამები შევისწავლე, რომ პირნათლად წარმდგარიყავი ჩემი მოსწავლეების წინაშე, მეზრუნა მათ აკადემიურ მოსწრებასა და მიღწევებზე. ვფიქრობ, ამ საქმეს მეტაკლემად გავართვით თავი.

თამარ ხანიშვილი, ხორნაბუჯის საჯარო სკოლა - კოვიდის გამო სულ სამი დღე მომინა სკოლაში გასვლა, სწავლის ხარისხზე ჯერ ბევრს ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ ბავშვების განწყობა იყო ძალიან დადებითი. ამკარად მონატრებულნი იყვნენ მეგობრებსაც და მასწავლებლებსაც. მეექვსე კლასელებს ვერ შევატყვე ჩამორჩენა, იმიტომ რომ ძალიან აქტიურად ერთგვობდნენ, მშობლებიც ამკარად ყურადღებას იჩენდნენ. ჯერჯერობით მხოლოდ კმაყოფილებას გამოვთქვამ ჩემს კოლეგებთან ერთად. მაგრამ, პირადად ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ ონლაინ სწავლებაზე, მე მირჩევნია, ბავშვების თვალში ამოვიკითხო, რას ფიქრობს, რა გაიგო, რა ვერ გაიგო, რა უჭირს! პირისპირ სწავლებას ვერაფერი შეცვლის, ეს ჩემი სუბიექტური აზრია.

თამარა ბოსტაშვილი, დედოფლისწყაროს პირველი საჯარო სკოლა - სასწავლო წლის დაწყება ჩვეულებრივ პერიოდშიც ზევა ემოციასთან არის ხოლმე დაკავშირებული. ზუსტად იგივე ემოცია დაგვეუფლა მეც და ჩემს ბავშვებსაც, როდესაც ონლაინ სივრცედიან რეალურ სივრცეში დაბრუნდით. ბავშვები მოუთმენლად ელოდებოდნენ მეგობრებთან და მასწავლებლებთან პირისპირ შეხვედრას. მოსწავლეებისთვის ონლაინ სწავლება თავიდან საინტერესო იყო. „კარგი იყო“ იმიტომ, რომ გამოცდები არ ტარდებოდა! მათი უმრავლესობა აღიარებს, რომ სკოლა, ცოცხალი სასწავლო პროცესი უკეთესია. ონლაინ სწავლების დროს მასწავლებლის მხოლოდ სახეს ხედავდნენ და ეს ძალიან ცუდი იყო. თვალშიც ელემბოდათ, ადამიანური კომუნიკაციაც აკლდათ. მოსწავლეთა მხოლოდ მცირე ნაწილს მოსწონს ონლაინ გაკვეთილები. ისინი თვლიან, რომ ონლაინსწავლების პროცესი უფრო მარტივია, დავალებები და გაკვეთილების რაოდენობა - შემცირებული, ქულების მიღებაც უფრო მარტივად ხდება

ბის შეფერხება, გაუარესდა ბავშვებში წერის, კითხვის უნარები.

ჩვენ, პედაგოგები, სკოლას მონატრებული მოსწავლეები, მოსწავლეთა მშობლები, ვცდილობთ შევინარჩუნოთ სიმშვიდე, პასუხისმგებლობა, მოტივაცია იმისთვის, რომ კვლავ დაუბრუნდეთ ტრადიციულ სასწავლო პროცესს. ვფიქრობ, სკოლების დახურვა უნდა იყოს უკიდურესი ღონისძიება, ყველა სხვა ალტერნატივის განხილვის შემდეგ. თუ ბავშვებს კიდევ მოუწევთ სკოლის გარეშე ცხოვრება, ამას გავლენა მთელ თაობებზე იქნება.

ინბა ქაშარაშვილი, პირველი საჯარო სკოლა - ბავშვების განწყობა არის სასწავლო პროცესის შესაბამისი. სწავლის დისტანციური რეჟიმის შემდეგ მოსწავლეები განახლებული ენერჯით შეუდგნენ პირისპირ სწავლებას. ჩვენ ვითვალისწინებთ დისტანციური სწავლების თავისებურებებს. ამჯერად ვერაფერს დავასკვნით. მით უმეტეს, რომ ამ ბავშვებს არანაირი კვლევითი ტესტირება არ გაუვლიათ ონლაინ სწავლების შემდეგ, რომ მოგვეცნოთ საშუალება, გარკვეული სტატისტიკა წარმოგვედგინა. ჩვენ ჯერ ისევ პანდემიის პირობებში გვიწევს ცხოვრება და მუშაობა. ამის შედეგებს ჩვენ ალბათ წლების შემდეგ ვნახავთ და აქედან გამოვძინებთ, ანალიზის შესაძლებლობაც მოგვინებთ გვექნება. პასუხის გაცემა ამ ეტაპზე ჩემი მხრიდან მხოლოდ ხმაშლალი ნათქვამი იქნება, უბრალოდ, ნამდვილად, რეალურ სურათს ვერ ვერაფერს წარმოადგენს.

ქაბა ხარაშვილი, ხორნაბუჯის სკოლა - გამოწვევები უდიდესი იყო, გლობალური. სკოლები, მოსწავლეები, მასწავლებლები აღმოვჩნდით უჩვეულო გარემოში, მაგრამ ძალიან გონივრული ნაბიჯებით ნავედით სტაბილურად წინ, ჩვენი შრომა გაორმაგდა, მეტი დეტალიზაცია დაგვჭირდა, რათა სრულყოფილი ყოფილიყო დისტანციური გაკვეთილები, ამას ჩვენი მხრიდან დიდი ენერჯია დასჭირდა, ინტერნეტმა მომცა იმის საშუალება, გაკვეთილები მრავალფეროვანი გამეხადა, ჩავარდნა და დილემა საგაკვეთილო პროცესებში არ მქონია. რაც შეეხება პოსტპანდემიურ პერიოდს, აქ უკვე სისტემური მიდგომები იქნება საჭირო, რათა ონლაინ განათლების იდეოლოგია და პლატფორმები სრულად მოერგოს სასკოლო განათლების არა მარტო კონკრეტულ სასწავლო ამოცანებს, არამედ მონაზარდებს შორის სოციალური ინტერაქციის მიზნებსაც და მათი ემოციური ინტელექტის და ჰარმონიული ფსიქოლოგიური კლიმატის ჩამოყალიბებაში შეგვიწყოს ხელი.

მომზადდა
ქაბა ხარაშვილი

მკვლელი სისუფთავა

„იმ დონეზე ვერ ვიტან ქურჭლის რეცხვას, რომ რეცხვის პროცესში მკვლელობის სურვილი მიჩნდება“ - თქვა ერთხელ აგატა კრისტომ. უამრავი დიასახლისი ნუნუნებს, რომ ქურჭლის სარეცხი საშუალებები კანს აშრობს, ზოგი ალერგიას უჩივის. არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ყელეები, სარეცხის ფხვნილები თუ სხვა საშუალებები ძირითადად ქიმიური საშუალებებით არის დამზადებული და მათი სისტემატური ხმარება ასე თუ ისე მინც აისახება ჩვენს ორგანიზმზე. განსაკუთრებით, თუ სახლში ბავშვია.

სიგარეტის კოლოფზე წარწერა „მონევა კლავს“ უკვე ყველასთვის ნაცნობია. ვინმეს გინახავთ სარეცხი საშუალების კოლოფზე წარწერა „სასიკვდილოა?“, რა თქმა უნდა არა. რეალურად კი ის იმაზე მეტად აზიანებს ჩვენს ჯანმრთელობას ვიდრე წარმოგვიდგენია. ჩვენს მოქალაქეებს რომ დაუსვათ კითხვა: რამდენად უსაფრთხოა ის სარეცხი საშუალებები, რომელსაც ოჯახში იყენებენ, ასეთ სურათს მიიღებთ: 70% ამაზე არ დაფიქრებულა და იყენებს ჩვეულებრივ რაც სავაჭრო ქსელშია, ძირითადად არჩევანს აკეთებს რეკლამის, ნაცნობების და გამყიდველის რჩევით; 20% იცის რომ გარკვეულ საფრთხეს შეიცავს, რადგან ქიმიურია, მაგრამ მინც იყენებს, ვინაიდან სხვაგვარი საშუალების არსებობა არ იცის; 9,5% იცის მისი მავნებლობის შესახებ და ეძებს ალტერნატივას, თუმცა ვერ ახერხებს; მხოლოდ 0,5% ეძებს აქტიურად უსაფრთხო საშუალებებს და ნაწილობრივ იყენებს კიდევ მას. აქედან გამომდინარე ამ ასპექტში სიგარეტის ნევაზე ბევრად უფრო საგანგაშო მდგომარეობაა. სარეცხი საშუალებების მავნე ზემოქმედება ვრცელდება როგორც მწველებზე, ისე არამწველებზე და არც მისი ასაკია შემოფარგლული.

მსოფლიო მეცნიერული კლასიფიკაციით სარეცხი საშუალებები განეკუთვნება ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსათვის ყველაზე საშიშ ქიმიურ ნივთიერებებს მათ შორის, რომლებიც საყოფაცხოვრებო მოხმარებაშია. ჰიგიენის სპეციალისტებმა დაასკვნეს, რომ მეტნაკლებად (და არა სრულიად) უსაფრთხოდ ითვლება ის სარეცხი ფხვნილები, რომლებიც არ შეიცავს ქიმიურ კომპონენტებს: ფოსფატებს, ქლორს, სულფატებს, სილიკატებს, ბორს. ანიონური ზედაპირულად აქტიური ნივთიერებები (ანიონიც სურფაცტანტს, ПАВ) არ უნდა აღემატებოდეს 2%, ერთი სახის არაიონური — 3%, ტოქსიკურ მჟავათა მარილები -1%, კათიონური ზედაპირულად აქტიური ნივთიერებები 2%, სინთეტიკური არომატიზატორები — 0,01%; ახლა კი გავერკვეთ, რა ზიანის შეუძლიათ ამ ნივთიერებებს.

„ზედაპირულად აქტიური ნივთიერებები“ წარმოადგენს სინთეტიკურ საპონს. მასთან კონტაქტი ორგანიზმში ცვლის ფუნგვა-აღდგენითი პროცესების ინტენსივობას, არღვევს ცილების, ნახშირწყლების და ცხიმების ცვლას, ანადგურებს უჯრედებს, ასუსტებს იმუ-

ნურ სისტემას, იწვევს ალერგიას, აზიანებს ტვინს, ღვიძლს, თირკმელებს, ფილტვებს, ცვლის სისხლის ფიზიოქიმიურ თვისებებს. მეცნიერული ფაქტია: 100 გრამი ქიმიური ნივთიერება კლავს ცხენს 24 სათის განმავლობაში.

ფოსფატები სარეცხ ფხვნილებში იხმარება წყლის დამარბილებლად, ანუ იცავს თქვენს სარეცხ მანქანას ნაღულისაგან, ხელით რეცხვისას რომ წყლის სირბილეს გრძნობთ, მისი დამსახურებაა. სამაგიეროდ რას გიშვრებათ თქვენ? ფოსფატები უფრო მეტად ტოქსიკურს ხდის ანიონურ „ზედაპირულად აქტიურ ნივთიერებებს“, იწვევს რა კანის გაუიცხიმოვნებას და გამოფიტვას, გზას უხსნის სხვა ქიმიურ ნივთიერებს ორგანიზმში შესაღწევად. ფოსფატების წყალობით „ზედაპირულად აქტიური ნივთიერებები“ მყარად ეჭიდება ქსოვილის ბოჭკოებს და მისი ჩამორეცხვა ცხელ წყალში მრავალჯერ გავლებითაც კი შეუძლებელია, მით უმეტეს თუ ქსოვილი მსხვილი ნაქსოვია. ამის გამო ტანსაცმლიდან, ლოგინის თეთრეულიდან მომნამველი ქიმიური ნი-

ვთიერებები, ენ-ზიმები, არომატიზატორები და ასე წარმოქმნება მთელი „ბუკეტი“ მომშხამავი ნივთიერებების.

რა მდგომარეობაა ჩვენს ბაზარზე? ნიმუშად ავიღოთ რამდენიმე ჩვენში პოპულარული სარეცხი ფხვნილი:

1. „სისუფთავის გარანტია“ „ტიანიდი“, ნა იკითხეთ კოლოფზე მისი შედეგნილობა: ანიონური სურფიტები, ანუ ზედაპირულად აქტიური ნივთიერებები (ანიონიც სურფაცტანტს) 5-15%, ანუ 2,5-7-ჯერ მეტი ევროპაში დაშვებულზე, კათიონური სურფიტები — 5%, ანუ 2,5-ჯერ მეტი დაშვებულზე. სხვა ნივთიერებებს რაოდენობა არ უწერია.

2. „ბიმაქსი“ — ანიონური სურფიტები, ანუ ზედაპირულად აქტიური ნივთიერებები (ანიონიც სურფაცტანტს) 5-15%, ანუ 2,5-7-ჯერ მეტი ევროპაში დაშვებულზე, კათიონური სურფიტები — 5%, ანუ 2,5-ჯერ მეტი დაშვებულზე, ფოსფატები- 15-30%, ანუ ეს ის ფოსფატებია, რომელთა მოხმარება გერმანიაში საერთოდ აკრძალულია.



ვთიერებები შეინოვება კანთან შეხებით და აკეთებს თავის დამანგრეველ საქმეს. ფოსფატები გარემოზე ახდენს ძალიან დიდ უარყოფით გავლენას, ამიტომ გერმანიაში მათი დამატება სარეცხ ფხვნილებში კანონითაა აკრძალული, სხვა ქვეყნებში კი საგრძობლად შეზღუდული. ევროკომისიამ 2013 წლამდე მისცა ვადა მწარმოებლებს რომ მთლიანად ამოეღოთ სარეცხი საშუალებების შედეგნილობიდან ფოსფატები.

სარეცხ ფხვნილებში ტრადიციულ დანამატს წარმოადგენს ამაქაფებელი. ფერადი მარცვლები ფხვნილში ამაქაფებლებია, მას მხოლოდ ვიზუალური დატვირთვა გააჩნია, სხვაგვარი რეცხვაში არ მონაწილეობს, სამაგიეროდ ქიმიურად უფრო აძლიერებს სარეცხი ფხვნილის მავნე ზემოქმედებას. ასე რომ თუ სარეცხი ფხვნილი ნაკლებ ქაფიანია, ამაზე გული არ დაგწყდეთ. ფხვნილებს კიდევ

როგორც ხედავთ, პრაქტიკულად ყველა საშუალებაში ნივთიერებათა ქიმიური შედეგნილობა რამდენჯერმე აღემატება ევროპაში დასაშვებ ნორმას, ბევრ ნივთიერებას საერთოდ არ უწერია რაოდენობა, ე.ი. უნდა იგულისხმობთ რომ ისინიც საკმაოზე მეტია.

მკვლევარები აღნიშნავენ, რომ მუცლად ყოფნისა და ჩვილობის პერიოდში ადამიანის ტვინზე ამ ნივთიერებების ზემოქმედებამ შესაძლოა გამოუსწორებელი შედეგები გამოიწვიოს. ძალიან რთულია ზემოხსენებული ნივთიერებების განსრული თავდაცვა, ვინაიდან ისინი ფართოდ არის გავრცელებული ყოველდღიურ ცხოვრებაში - საკვებში, სასმელებში, ჰაერში, კოსმეტიკაში, დოკუმენტებში, რეზერვუარებსა, ჭურჭელში და ა.შ. პრობლემა გლობალური მასშტაბისაა და მისი გადაწყვეტაც გლობალურ ძალისხმევას მოითხოვს.

ბევრი ქალბატონი ასევე აქტიურად იყენებს ქლორს და ქლორის შემცველ სხვა საშუალებებს იატაკების წმენდისას, ასევე აბაზანის რეცხვისას. აუცილებელია, მაქსიმალურად იშვიათად გაირეცხოს ქლორის შემცველი საშუალებებით იატაკი, თუ მასზე ბავშვი ხოხავს ან ახალფეხადგმული პატარა დადის და არის შანსი, რომ ის ხელით შეეხოს და შემდეგ პირში ჩაიდოს ის ხელი. ან ეცადეთ, შემდეგ ბევრჯერ განმინდოთ იგივე იატაკი თუ აბაზანა სუფთა წყლით, რათა არ შერჩეს მასზე ქლორის კვალი. იატაკის წმენდისთვისაც ეკოლოგიურ საშუალებებს მიანიჭეთ უპირატესობა. თუ ანტიბაქტერიული წმენდა გინდათ, შეგიძლიათ შეარჩიოთ ლავანდის სითხეები. ამ მცენარეს ანტიბაქტერიული თვისება აქვს. ერთი სიტყვით, ეძებთ ეკოლოგიურად სუფთა საშუალებები და რაც შეიძლება კარგად გაავლეთ ყველაფერი სუფთა წყლით.

გარდა ამისა, ქიმიური ნივთიერებით დაბინძურებული წყალი ჩადენება მდინარეებში, მდინარეებიდან ამ მავნე ნივთიერებებს აქტიურად იწვევს ნიადაგი, ხოლო ნიადაგიდან მისი ცირკულირება მთელ გარემოში ხდება. მომნამველ გარემოში ცხოვრებისას კი იზრდება მომაკვდინებელ, მათ შორის სიმსივნური დაავადებების რისკი.

რა პირობით?

გამოუვალაი მდგომარეობა, რა თქმა უნდა, არ არსებობს. საქართველოში ბაზარზე გვაქვს შესაძლებლობა, შევარჩიოთ ისეთი სარეცხი საშუალებები, ჭურჭლის ყელეები, საპნები, შამპუნები და სხვა ჰიგიენის ნივთები, რომლებიც არ შეიცავს ასეთ საშიშ ნივთიერებებს. ასეთი პროდუქტის შეფუთვაზე ყოველთვის არის მითითებული თუ რა ნივთიერებებს შეიცავს ის. გარდა ამისა, ის არის ეკოლოგიურად სუფთა, არ ვნებს გარემოს, არც ტანსაცმელს, არც ჯანმრთელობას და არის აბსოლუტურად უსაფრთხო.

ვინც ვერ ეშვება ტრადიციულ ფხვნილებს, აუცილებლად უნდა იხმაროს რაზინის ხალთათმანავი, რაცხვისას რაკომინდირებულია სარაცხის სუთქარ ცხელ (50-60გრადუსი) და ორჯერ ციხ წყალში გაწვავა. ეს თითქმის სამჯერ აკვირებს მანქანით რაცხვის ხარჯს, თანაც ბოლომდე დაზღვეული არ ხართ, ამიტომ ლობიპურია უფრო ძვირის გადახდა ჯანმრთელობისათვის უვნებელ სარაცხ საშუალებაში. ცალკეულმა ექსპერიმენტატორებმა მოიწოდეს სარაცხი საპნის ბახხავა და ფხვნილის მაგიერ მისი ჩაშვება სარაცხ მანქანაში. ფართი, სადაც სარაცხს რაცხავთ, კარგად უნდა ნივრეპოქსი.

ასეთი პროდუქტის გამოყენებით, თქვენ მნიშვნელოვნად შეამცირებთ ჯანმრთელობისთვის უნებლიად მიყენებული ზიანის რისკებს და დაცვაში რომორც საპნითა თან, ასევე თქვენ შვილებს, ოჯახის წევრებსა და სხვა ადამიანებს.

მომზადდა
ხათუნა პინაშვილი

| ამინდი | | დედოფლისწყობის | | საბურთალოს | | საბურთალოს | |
|-----------------------|-------------------------|------------------------|-------------------------|------------------------|----------------------|--------------------|---------------------|
| ორშაბათი 22.02 დღე | სამშაბათი 23.02 ღამე | ოთხშაბათი 24.02 დღე | ხუთშაბათი 25.02 ღამე | პარასკევი 26.02 დღე | შაბათი 27.02 ღამე | კვირა 28.02 დღე | კვირა 28.02 ღამე |
| 6° | -3° | 6° | -5° | 2° | -5° | 4° | * -4° |
| 5° | -4° | 6° | -3° | 12° | 0° | | |

გამომცემელი შპს „შირაპი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილიში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებს პასუხს ავებს ავტორი.

სარედაქციო კოლოფია: **ქუთუნა ყანაშვილი** (ჟურნალისტი); **ხათუნა პინაშვილი** (კორექტორი); **ელზა ხარაშვილი** (სტილისტ-მწვეფერი); **ნათელა ბოსტაშვილი** (ბუღალტერი); **ნიაზი ჯანაშვილი** (ოფის-მენეჯერი); **მზინა ქანაშვილი** (დისტრიბუტორი);
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაპის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „ეკოლო პრესის“ სტამბაში.

REDACCIIS MSAMRTIA
ქალაქი დედოფლისწყობა,
ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 22-87;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყობის რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.